სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

17 / ივლისი / 2024 წ.

KA021732612087523

№ **1/1-3952**

ბრძანება

ქალაქ თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქუჩა N2-ში/კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა N2-ში პირველ სართულზე მდებარე 927.62 კვ.მ ფართის, მეორე სართულზე მდებარე 891.81 კვ.მ. ფართის, მესამე სართულზე მდებარე 775.14 კვ.მ. ფართის, მეოთხე სართულზე მდებარე 793.78 კვ.მ. ფართის და მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და ქალაქ თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა N2-ში მდებარე 305.90 კვ.მ. სარდაფისა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის და „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქუჩა N2-ში/კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა N2-ში პირველ სართულზე მდებარე 927.62 კვ.მ ფართის, მეორე სართულზე მდებარე 891.81 კვ.მ. ფართის, მესამე სართულზე მდებარე 775.14 კვ.მ. ფართის, მეოთხე სართულზე მდებარე 793.78 კვ.მ. ფართის (ს/კ: 01.16.06.042.003.01.504) და მათზე წილობრივად დამაგრებული

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და ქალაქ თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა N2-ში მდებარე 305.90 კვ.მ. სარდაფისა (ს/კ: 01.16.06.042.003.01.502) და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 6 650 000 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 665 000 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) თვის ვადაში.

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების (რაც შესაძლოა მოიცავდეს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სადემონტაჟო სამუშაოებს და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანას) განხორციელების მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში.

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულებების შესრულებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში N 01.16.06.042.003.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის (თავშესაფრის, რომლის ფართი უნდა იყოს არანაკლებ 300 კვ.მ.) ფუნქციონირებისათვის მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების დამატებით სახელშეკრულებო (არასაპრივატიზებო) პირობად განისაზღვროს - ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, N01.16.06.042.003.01.502 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობისათვის (თავშესაფრისათვის) ფუნქციის მუდმივად (სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის არსებობის ვადით) შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სამოქალაქო თავდაცვის ნაგებობით უსასყიდლოდ სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

5. მყიდველი ვალდებულია ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

6. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

7. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

8. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია